"ვამტკიცებ"
სამცხე-ჯავახეთის ჭადრაკის ფედერაცია
პრეზიდენტი /გ.დიაკონაშვილი/

"20" ოქტომბერი 2022 წ.
--- ---

შეთანხმებულია:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი /გ.გიორგაძე/

საჭადრაკო ფესტივალი „ახალციხე - 2022"

28-30 ოქტომბერი, 2022 წ. ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ვალე, კულტურის სასახლე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორები:**
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია;
   - საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;
   - სამცხე-ჯავახეთის ჭადრაკის ფედერაცია;
   - შპს ვალე XXI;
   - ქ. ვალეს ჭადრაკის სკოლა.

2. **ჩატარების ვადები და ადგილი:**
   28-30 ოქტომბერი 2022 წ. ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ.ვალე, კულტურის სასახლე.

3. **ტურნირი ჩატარდება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:**
   - 8 წლის გოგონები (2014 წლის 1იანვრის შემდგომ დაბადებულნი)
   - 8 წლის ჭაბუკები (2014 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებულნი)
   - 10 წლის გოგონები (2012 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებულნი)
   - 10 წლის ჭაბუკები (2012 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებულნი)
   - 12 წლის გოგონები (2010 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებულნი)
   - 12 წლის ჭაბუკები (2010 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებულნი)
   - 16 წლის გოგონები (2006 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებულნი)
   - 16 წლის ჭაბუკები (2006 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებულნი)

4. **მონაწილეები:**
   შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალური ფედერაციების მიერ დაგენილი კვოტებით შერჩეული მოჭადრაკეები(თბილისი–3; იმერეთი–3; აჭარა–2; სამეგრელო–ზემო სვანეთი–2, დანარჩენი ფედერაციები – 1, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში). სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, კვება) გაიღებენ თვით მონაწილენი, ან მომავლინებელი ორგანიზაციები.

5. **რეგისტრაცია:**
   რეგისტრაცია იწარმოებს 20–26 ოქტომბრის ჩათვლით. რეგიონალური ფედერაციების მიერ წარმოდგენილი ანკეტების შესაბამიად. ელ. ფოსტის მისამართია: chesssamcxe@gmail.com

6. **სისტემა და დროის კონტროლი:**
   - ტურნირი გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად.
   - კენჭისყრა გაიმართება კომპიუტერული პროგრამა SWISS MANAGER
   - ტურნირის შედეგები განთავსდება შემდეგ საიტზე: chess-results.com (geo).
   - აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
   - თითოეულს 25 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით.

7. თაი- ბრეიქი:

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილების გადანაწილება მოხდება შემდეგნაირად: 1. ბუჰგოლცი 1 უდაბლესის გამოკლებით; 2. პირადი შეხვედრა; 3. მოგებათა რაოდენობა; 4. პროგრესი, რეგრესის მეთოდით.

8. კვალიფიკაცია:

ტურნირში ფიდეს რეიტინგი არ დაითვლება.

9. ტურნირის განრიგი:

ტური	თარიღი	დრო
რეგისტრაცია	20–26 ოქტომბერი	
ჩამოსვლის დღე	28 ოქტომბერი	10:00 საათიდან
გახსნა	28 ოქტომბერი	15.30
I ტური	28 ოქტომბერი	16.00
II ტური	28 ოქტომბერი	18.00
III ტური	29 ოქტომბერი	11.00
IV ტური	29 ოქტომბერი	13.00
V ტური	29 ოქტომბერი	16:00
VI ტური	30 ოქტომბერი	11:00
VII ტური	30 ოქტომბერი	13:00
დახურვა	30 ოქტომბერი	16:00

10. პრიზები: საპრიზო ფონდი - 8 200 ლარი.

ტურნირი, კატეგორია	I ადგილი	II ადგილი	III ადგილი
8 წლამდე გოგონები (2014 წ. დაბ.)	300	200	100
8 წლამდე ჭაბუკები (2014 წ. დაბ.)	300	200	100
10 წლამდე გოგონები (2012 წ. დაბ.)	300	200	100
10 წლამდე ჭაბუკები (2012 წ. დაბ.)	300	200	100
12 წლამდე გოგონები (2010 წ. დაბ.)	300	200	100
12 წლამდე ჭაბუკები (2010 წ. დაბ.)	300	200	100
16 წლამდე გოგონები (2006 წ. დაბ.)	500	300	200
16 წლამდე ჭაბუკები (2006 წ. დაბ.)	500	300	200

მწვრთნელთა კონკურსი:

ყველა კატეგორიაში 1–2 ადგილებზე გასული მოჭადრაკეების მწვრთნელები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით:

I ადგილი	120 ლარი
II ადგილი	80 ლარი

დაწესებულია ადგილობრივი საუკეთესო მოჭადრაკის პრიზი, ყვალა კატეგორიაში 100 -100 ლ.

ადგილობრივი ფედერაციის საუკეთესო შედეგის მქონე მწვრთნელის პრიზი: 200 ლ.

პრიზები დაიბეგრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

I ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს გადაეცემათ თასი, მედალი და დიპლომი.

II - III ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს გადაეცემათ მედლები და დიპლომები.

11. საერთო წესები:
ტურის დაწყებიდან 15 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;

12. მოჭადრაკეების განთავსება.
რეგიონებიდან მოწვეული მოჭადრაკეები უფასოდ განთავსდებიან კომფორტულ ნომრებში, სასტუმრო "გრანდ პალასი ახალციხე", ''მესხეთი პალასი'' (კვების გარეშე). საუზმე–15ლ.
თანხმლები პირებისათვის სასტუმროს ღირებულება – 40 ლარი.

შეჯიბრების პერიოდში მონაწილეებს მოემსახურებათ კომფორტული ავტობუსები ახალციხე-ვალე-ახალციხე, უფასოდ.
დღის განმავლობაში ქ.ვალეს კულტურის სასახლესთან იმუშავებს რესტორანი, შვედური სუფრის სისტემით, მრავალფეროვანი გემრიელი კერძებით. ფასი იქნება მინიმალური. დაგეგმილია სიურპრიზები, ექსკურსიები და სხვა ღონისძიებები.
ამ დღეებში ტარდება "ვალეობა", მრავალი კულტურული ღონისძიებით!

- კოვიდ - 19 -თან დაკავშირებულ შეზღუდვებზე ვიხელმძღვანელებთ იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული კოვიდ რეგულაციების შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: ვახტანგ ზაქროშვილი, საკონტაქტო ტელ: 598 423 022,
ელ.ფოსტა: chesssamcxe@gmail.com.

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - ალექსანდრე არსენიძე.